

ახალი თავი 6 (ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერები)

თავი 6

ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერები

**მუხლი 6.1 - მიზანი**

ამ თავის მიზნებია:

- (a) მხარეთა შორის საქონლით ვაჭრობის წახალისება და ხელშეწყობა იმის უზრუნველყოფით, რომ ტექნიკური რეგლამენტები, სტანდარტები და შესაბამისობის შეფასების პროცედურები არ ქმნის ზედმეტ ტექნიკურ ბარიერებს ვაჭრობისთვის;
- (b) მხარეებს შორის თანამშრომლობის გაძლიერება სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და შესაბამისობის შეფასების პროცედურების სფეროში, მათ შორის შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში;
- (c) მხარეებს შორის ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობისთვის ხელშეწყობა მათ სტანდარტებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან და შესაბამისობის შეფასების პროცედურებთან დაკავშირებით, მათ შორის ვაჭრობის ხელშეწყობის მექანიზმების შემდგომი განხილვის შესაძლებლობების გადრმავება.
- (d) „ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების“ შესახებ ვმო-ს შეთანხმების პრინციპების განხორციელებისთვის ხელშეწყობა.

**მუხლი 6.2 - გამოყენების სფერო**

1. ეს თავი ეხება თითოეული მხარის ყველა ტექნიკურ რეგლამენტს, სტანდარტსა და შესაბამისობის შეფასების პროცედურას, რომელმაც შეიძლება პირდაპირ ან ირიბად გავლენა მოახდინოს მხარეთა შორის საქონლით ვაჭრობაზე. ის გამორიცხავს:
  - (a) მე-5 თავით (სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომები) გათვალისწინებულ SPS ზომებს; და
  - (b) სახელმწიფო ორგანოების მიერ მომზადებულ შესყიდვების მახასიათებლებს „ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შესახებ“ ვმო-ს შეთანხმების 1 (1.4) მუხლით გათვალისწინებული სახელმწიფო ორგანოების წარმოების ან მოხმარების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
2. თითოეულმა მხარემ უნდა გაატაროს მის ხელთ არსებული ყველა გონივრული ზომა, რათა ადგილობრივმა ხელისუფლებამ თავის ტერიტორიაზე უზრუნველყოს შესაბამისობა ამ თავის

მოთხოვნების განხორციელებისას, რომელიც პასუხისმგებელია სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და შესაბამისობის შეფასების პროცედურების შემუშავებაზე, მიღებასა და გამოყენებაზე.

3. ამ თავში არაფერი უშლის ხელს მხარეს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და შესაბამისობის შეფასების პროცედურების შემუშავებაში, მიღებაში, გამოყენებაში ან მხარდაჭერაში TBT შეთანხმების შესაბამისად.

### **მუხლი 6.3 - განმარტება**

ამ თავის მიზნებისათვის გამოიყენება „ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შესახებ“ (TBT) შეთანხმების 1-ელ დანართში მითითებული განმარტებები, რომლებიც მოცემულია ვმო-ს (WTO) შეთანხმების (შემდგომში „TBT შეთანხმება“) 1A დანართში.

### **მუხლი 6.4 - TBT შეთანხმების დადასტურება**

მხარეები ადასტურებენ თავიანთ უფლებებსა და ვალდებულებებს ერთმანეთის მიმართ TBT შეთანხმების შესაბამისად.

### **მუხლი 6.5 - ტექნიკური რეგლამენტი<sup>1</sup>**

იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტები არსებობს ან მათი შემუშავება გარდაუვალია, თითოეული მხარე გამოიყენებს მათ ან მათ შესაბამის ნაწილებს, როგორც ტექნიკური რეგლამენტის საფუძველს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი საერთაშორისო სტანდარტები ან მათი შესაბამისი ნაწილები არაეფექტური ან შეუსაბამო საშუალებაა ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად, მაგალითად, ძირითადი კლიმატური ან გეოგრაფიული ფაქტორების ან ძირითადი ტექნოლოგიური პრობლემების გამო.

### **მუხლი 6.6 - სტანდარტები**

1. ამ თავის გამოყენების მიზნით, სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ISO), საერთაშორისო ელექტროტექნიკური კომისიის (IEC), საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის (ITU) და კოდექს ალიმენტარიუსის კომისიის (CAC) მიერ გაცემული სტანდარტები ითვლება შესაბამის საერთაშორისო სტანდარტებად TBT შეთანხმების 2.4 მუხლის გაგებით.

<sup>1</sup> TBT შეთანხმების დანართ 1-ში მოცემული ტექნიკური რეგულაციების განმარტების თანახმად, ტექნიკური რეგულაციების სფეროში უნდა მოხდეს სავალდებულო სტანდარტები.

2. მხარეები თანხმდებიან გააძლიერონ გამოცდილებისა და ინფორმაციის გაცვლა სტანდარტიზაციის სფეროში.

#### **მუხლი 6.7 - შესაბამისობის შეფასების პროცედურები**

1. მხარეები აღიარებენ, რომ კონკრეტული სექტორებიდან გამოდინარე, არსებობს მექანიზმების ფართო სპექტრი, რომელიც ხელს შეუწყობს მეორე მხარეს ჩატარებული შესაბამისობის შეფასების პროცედურების შედეგების მიღებას. ასეთი მექანიზმები შეიძლება მოიცავდეს:

(a) შესაბამისობის შეფასების ორგანოებს შორის არსებული საერთაშორისო მრავალმხრივი შეთანხმებებისა და მოლაპარაკებების აღიარებას;

(b) თითოეული მხარის ტერიტორიაზე შესაბამისობის შეფასების ორგანოებს შორის ნებაყოფლობითი შეთანხმებების წახალისებას;

(c) მეორე მხარის შესაბამისობის შეფასების ორგანოების მიერ გაცემული შესაბამისობის შეფასების შედეგების მიღების ხელშეწყობას, რაც ადასტურებს, რომ იმპორტიორი ქვეყნის კანონმდებლობის, ტექნიკური რეგულაციების და/ან სტანდარტების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია; და

(d) მხარეთა მიერ ურთიერთშეთანხმებულ სხვა მექანიზმებს.

2. მხარეები თანხმდებიან მოთხოვნის საფუძველზე გაცვალონ ინფორმაცია შესაბამისობის შეფასების პროცედურების შესახებ, მათ შორის ტესტირების, შემოწმების, სერტიფიცირებისა და აკრედიტაციის შესახებ.

3. მხარეები შეეცდებიან, ხელი შეუწყონ ინფორმაციის გაცვლას აღიარების მექანიზმების შესახებ, რათა წახალისდეს შესაბამისობის შეფასების შედეგების აღიარება.

4. ამ თავისთვის ზიანის მიყენების გარეშე, მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ ცალკეული სექტორული შეთანხმებების დადებაზე, რომლებიც განსაზღვრავს შესაბამისობის შეფასების შესაბამისი ორგანოების მიერ გაცემული შესაბამისობის შეფასების პროცედურების შედეგების აღიარების მექანიზმებს, როგორც ეს განსაზღვრულია სექტორულ შეთანხმებებში.

#### **მუხლი 6.8 - გამჭვირვალობა**

1. თითოეული მხარე ადასტურებს თავის ვალდებულებას უზრუნველყოს ინფორმაციის მიწოდება შემოთავაზებული ახალი ან შესწორებული ტექნიკური რეგლამენტის, სტანდარტისა და შესაბამისობის შეფასების პროცედურის შესახებ TBT შეთანხმების მოთხოვნების შესაბამისად.

2. თითოეულმა მხარემ მომთხოვნ მხარეს უნდა მიაწოდოს ყველასთვის ნაცნობი თავისი ტექნიკური რეგლამენტისა და შესაბამისობის შეფასების პროცედურების სრული ტექსტი ხელმისაწვდომ ენებზე წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 15 სამუშაო დღის ვადაში. სრული ტექსტის არარსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია მომთხოვნ მხარეს მიაწოდოს წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან გონივრულ ვადაში ინგლისურ ენაზე ყველასთვის ცნობილი ტექნიკური რეგლამენტებისა და შესაბამისობის შეფასების პროცედურების მოთხოვნების შეჯამება. წინა წინადადების განხორციელებისას შეჯამების შინაარსს განსაზღვრავს მომთხოვნი მხარე.

3. თითოეულმა მხარემ მეორე მხარეს უნდა წარუდგინოს კომენტარები სულ მცირე 60 დღის ვადაში მას შემდეგ, რაც ვმო-ს შეატყობინებს მის მიერ შეთავაზებული ტექნიკური რეგლამენტებისა და შესაბამისობის შეფასების პროცედურების შესახებ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოსთვის საფრთხის შემცველი ან პოტენციურად საფრთხის შემცველი რისკები საჭიროებს გადაუდებელ მოქმედებას.

4. თითოეულმა მხარემ სათანადოდ უნდა გაითვალისწინოს მეორე მხარის კომენტარები და შეეცადოს ამ კომენტარებზე პასუხის გაცემა მოთხოვნის შემთხვევაში.

#### **მუხლი 6.9 - ტექნიკური კონსულტაცია**

1. თუ მხარე მიიჩნევს, რომ მოპასუხე მხარის შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტი ან შესაბამისობის შეფასების პროცედურა წარმოადგენს მისი ექსპორტისთვის ზედმეტ დაბრკოლებას, მას შეუძლია მოითხოვოს ტექნიკური კონსულტაცია. მეორე მხარემ უნდა უპასუხოს ასეთ მოთხოვნას რაც შეიძლება სწრაფად.

2. მოპასუხე მხარემ უნდა დაიწყოს ტექნიკური კონსულტაციები მოთხოვნის მიღებიდან 60 დღის ვადაში, რათა მიაღწიოს ორმხრივად მისაღებ გამოსავალს. ტექნიკური კონსულტაციები შეიძლება ჩატარდეს დაინტერესებულ მხარეთა შორის შეთანხმებული ნებისმიერი საშუალებით.

#### **მუხლი 6.10 - თანამშრომლობა**

მხარეები, მათი შესაბამისი სისტემების შესახებ ურთიერთგაგების გაღრმავებისა და ორმხრივი ვაჭრობის ხელშეწყობის მიზნით, აძლიერებენ ტექნიკურ თანამშრომლობას შემდეგ სფეროებში:

(a) მხარეთა კომპეტენტურ ორგანოებს შორის ურთიერთობა;

(b) ინფორმაციის გაცვლა ტექნიკური რეგლამენტის, სტანდარტების, შესაბამისობის შეფასების პროცედურების და კარგი მარეგულირებელი პრაქტიკის შესახებ;

(c) მხარეთა სტანდარტიზაციისა და შესაბამისობის შეფასების ორგანოებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა, სადაც ეს შესაძლებელია;

(d) თანამშრომლობა ორმხრივი დაინტერესების სფეროებში შესაბამისი რეგიონული და საერთაშორისო ორგანოების მუშაობაში, რომლებიც დაკავშირებულია სტანდარტებისა და შესაბამისობის შეფასების პროცედურების შემუშავებასა და გამოყენებასთან; და

(e) მხარეთა მიერ ურთიერთშეთანხმებული სხვა სფეროები.

#### მუხლი 6.11 - საკონტაქტო პირები

1. თითოეული მხარე დანიშნავს საკონტაქტო პირს, რომელიც ამ მხარის სახელით პასუხისმგებელია ამ თავის განხორციელების კოორდინაციაზე.

საკონტაქტო პირები არიან:

(a) ჩინეთისთვის, ბაზრის რეგულირების სახელმწიფო ადმინისტრაცია ან მისი მემკვიდრე; და

(b) საქართველოსთვის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

2. თითოეულმა მხარემ მეორე მხარეს უნდა მიაწოდოს დანიშნული საკონტაქტო პირის სახელი და ამ ორგანიზაციის შესაბამისი თანამდებობის პირის საკონტაქტო ინფორმაცია, მათ შორის ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და ნებისმიერი სხვა შესაბამისი ინფორმაცია.

3. თითოეულმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს მისი საკონტაქტო პირების შემადგენლობაში ნებისმიერი ცვლილების ან შესაბამისი თანამდებობის პირების მონაცემებში რაიმე ცვლილების შესახებ.“